„უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი“

„უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი“ აერთიანებს 30 უფლებადამცველ ორგანიზაციას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ქსელის მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას და სამოქალაქო საზოგადოების როლის ამაღლებას რეგიონში.

„უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის“ განცხადება

2009 წლის 20 ივლისი

„უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი“ შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის მიერ 17 ივლისს საგანგებო სესიაზე მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ცვლილებები შეტანილ იქნა საქართველოს კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ქსელი, რომელიც შედგება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში რეგისტრირებული 30 ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციისაგან, მიაჩნია, რომ ეს ცვლილებები გაუმართლებლად ზღუდავენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს და საფრთხეს უქმნიან დემოკრატიის არსებობას საქართველოში.

„უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი“ მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, გამოიყენოს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და ვეტო დაადოს აღნიშნულ ცვლილებებს.

„ყველას აქვს უფლება ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად ხელი შეუწყოს და იღვაწოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვისა და რეალიზაციისთვის, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე“.
გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველების დეკლარაციის I მუხლი

პროექტი „უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის შექმნა“ ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ქსელის კოორდინატორები არიან „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (საქართველო), „სომხეთის ჰელსინკის ასოციაცია“(სომხეთი) და „ინსტიტუტი რეპორტიორების თავისუფლებისა და უსაფრთხოებისთვის“ (აზერბაიჯანი).
ქსელის საერთაშორისო პარტნიორია „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი“ (ოსლო, ნორვეგია).